ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

2021 წლის 22 დეკემბერი

ქ. ხობი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. ფრიდონი შონია
3. სერგო ბერაია
4. აკაკი მალანია
5. ბადრი რიჟამაძე
6. ფელიქსი წურწუმია
7. ნინო ბოკუჩავა
8. მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 10 დეკემბრის N50-502134464 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 10 დეკემბრის N50-502134465 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 - 2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების გაცნობის შესახებ");
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 14 დეკემბრის N50-502134867 წერილის განხილვა: („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);
(მომხსენებელი ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8 , წინააღმდეგი -არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 10 დეკემბრის N50-502134464 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც ბიუჯეტის შემოსავალი განისაზღვრა 13.121.800 ლარით; ხარჯი - 11.069.000 ლარით; შემოსულობები - 13.682.500 ლარით, აქედან: არაფინანსური აქტივების კლება 560.700 ლარი; გადასახდელები - 13.682.500 ლარით; გადასახადები 9.916.000 ლარით, აქედან: ქონების გადასახადი 4.000.000 ლარით, დღგ 5.916.000 ლარით. წინა წელთან შედარებით ქონების გადასახადი შემცირებულია 800.000 ლარით და დღგ გაზრდილია 1.198.000 ლარით; გრანტი 2.235.000 ლარით, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი - 235.000 ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25.000 ლარით, ხარჯები: შრომის ანაზღაურება გაიზარდა წინა წელთან შედარებით 1.445.300 ლარით, სუბსიდია 5.267.700 ლარი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 709.900 ლარით; სარეზერვო ფონდი 90.000 ლარით. დადგენილება მომზადებულია ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს 2022 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

მ. იოსავა - ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - შემოვიდა წინადადებით ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების ანაზღაურების გაზრდის თაობაზე.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 10 დეკემბრის N50-502134465 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 - 2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების გაცნობის შესახებ“);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლითაც მუნიციპალიტეტისთვის უმტავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს: ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლება, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები და პროგრამები“ გასაცნობად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი პრიორიტეტის დოკუმენტი გასაცნობად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2021 წლის 14 დეკემბრის N50-502134867 წერილის განხილვა: („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მერიის საშტატო ნუსხაში განსახორციელებელი შემდეგი ცვლილებები, ადმინისტრაციულ სამსახურს ემატება 1 განყოფილება (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება) 3 საშტატო ერთეულით. გარდა საშტატო ნუსხაში განსახორციელებელი ცვლილებისა. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2 ახალშექმნილ ადმინისტრაციულ ერთეულში 4 საშტატო ერთეულის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დამატება, მათ შორის 2 საშტატო ერთეული - გაღმა საჯიჯაოს და 2 შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში. დადგენილების პროექტით ასევე რეგულირდება მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და იგი ექცევა როგორც უშუალოდ შესაბამისი თანამდებობებისთვის განსაზღვრული კოეფიციენტების, ასევე სახელფასო კოეფიციენტების ერთი კატეგორიის ფარგლებში, ამასთან პროექტით გათვალისწინებულია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.
დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა განაცხადა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონისა და „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად აუცილებელია დაკორექტირდეს, როგორც საკრებულოს თანამდებობის პირების, ასევე საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები, კანონის მოთხოვნის თანახმად, საკითხი შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიასთან, თანანმდებობრივი სარგოები ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ჩემს მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი - 1.

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

5. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: **ლ. ლიპარტია** - მომხსენებმელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში შედის ცვლილებები, რომლის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისთვის განისაზღვრება სატელეფონო ხარჯი 30 ლარის, ხოლო საწვავის (ბენზინი) ხარჯი 250 ლიტრის ოდენობით (რაც ადრე არ იყო განსაზღვრული), საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის საწვავის (დიზელი) ლიმიტი განისაზღვრება 200 ლიტრის ოდენობით, ნაცვლად 190 ლიტრისა. საკრებულოს აპარატის უფროსისთვის განსაზღვრულ ლიმიტში, მისი წინადადების საფუძველზე შედის ცვლილება საწვავის (ბენზინი) ლიმიტი განისაზღვრება 150 ლიტრით, ნაცვლად 210 ლიტრისა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსების საწვავის ლიმიტები განისაღვრება თითოეულის 50 ლიტრის ოდენობით, ნაცვლად 20 ლიტრისა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ჩემს მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია